ტაიმი პირველი...
ტაიმი მეორე...

თბილისი. ‘‘დინამოს’’ სტადიონი. 27 ოქტომბერი.
‘‘დინამო’’ (თბილისი) – „სპარტაკი“ (გრადეც – კრალოვე) 5:1 (0:0)
‘‘დინამო’’: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, იამანიძე, დათუნაშვილი (მაისურაძე).
„სპარტაკი“: ანდრა, გუმული, პიჩმანი, ზაგალკა, მონიკი, სირბენაგლი, შურანსკი (კოპეჩნი), პოკორნი, შონკა, ტაუხენი, ზიკანი.

გრადეც – კრალოვის „სპარტაკი“ საკმაო ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდია, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატში (I ლიგა) ჯერჯერობით IV ადგილზე იმყოფება. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ თბილისის ‘‘დინამოსთვის’’ ეს იქნებოდა საპასუხისმგებლო საერთაშორისო მატჩი.

დებიუტი თითქოს ასეც წარიმართა. სტუმრები ზუსტი გადაცემებით მოქმედებდნენ მინდვრის შუაგულში და მეტოქეს საშუალებას არ აძლევდნენ ეწარმოებინათ სწრაფი იერიშები. ტაიმი დამთავრდა ისე, რომ დინამოელებს სახიფათო მომენტი თითქმის არც კი შეუქმნიათ „სპარტაკის“ კართან. სამაგიეროდ, პირველი ტაიმის ინერტულობა თბილისელმა ფეხბურთელებმა სრულად აანაზღაურეს შესვენების შემდეგ. უკვე მე–4 წუთზე გათამაშდა საჯარიმო დარტყმა მარჯვენა ფლანგიდან, რომელიც ცხოვრებოვმა დაამთავრა შორიდან ზუსტი, ძლიერი დარტყმით – 1:0. მცირე ხნის შემდეგ ბარქაიას გადაცემა კარგად გამოიყენა ხართიშვილმა და მეორე ბურთი გაგზავნა სტუმრების კარში. მე–18 წუთზე ინდრას მესამე ბურთის გამოტანა მოუხდა იმავე ხართიშვილის მიერ შესრულებული საუკეთესო დარტყმის შემდეგ (იხ. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მ. ზარგარიანის სურათი).

თბილისელები აღარ სცილდებოდნენ „სპარტაკის“ კარს. 31–ე და 33–ე წუთებზე მარცხენა ფრთაზე გათამაშდა ორი კომბინაცია ილიდსა და ხუციშვილს შორის და ამ უკანასკნელმა ორჯერვე ზუსტად მისცა ბურთს თავით მიმართულება კარისკენ.

ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა სტუმრებმა შეძლეს მატჩის დასასრულს 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმით (შონკა). თბილისის ‘‘დინამომ’’ თავისი საერთაშორისო აქტივს კიდევ ერთი გამარჯვება შემატა.

რ. ქორიძე

ლელო .10.65